დანართი 1

უწყვეტი განათლების

საგანმანათლებლო პროგრამის

წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა

1. უწყვეტი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ–ს სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორი ან უცხოური ენების ცენტრის მასწავლებელი.

2. უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს თსუ–ს სრულმა, ასოცირებულმა, ასისტენტ პროფესორმა, დოქტორანტმა, ან მოწვეულმა პედაგოგმა, რომელსაც აქვს უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის, სწავლების, კვლევის ან მუშაობის გამოცდილება.

3. უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი და იგი განიხილება ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, მიმართულება და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის (მოწვეული პედაგოგების) სხდომაზე. გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უბრალო უმრავლესობით. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი, კერძოდ, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია, შედგენილი თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად, განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ტექნიკურ მონიტორინგს და აკადემიურ ექსპერტიზას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადაწყვეტილებას იღებს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს. სადაო საკითხებს წყვეტს აკადემიური საბჭო.

5. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

6. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა თსუ საინფორმაციო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას თსუ ვებ-გვერდზე.

7. თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებას.

8. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური მონიტორინგი და მათი შეფასების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით.